შპს ,,ვოთერ მენეჯმენთ"; მის: ლანჩხუთი, სოფ. ჯაპანა, ე. თაყაიშვილის ქ. N 15; ტელ:+995591107945; ს/კ 238771931

საქართველოს გარემოს დაცვისა

და სოფლის მეურნეობის მინისტრს

ბატონ ოთარ შამუგიას

N2201-01

28.01.2022

ბატონო ოთარ,

გაცნობებთ, რომ შპს ,,ვოთერ მენეჯმენთ"-ის მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯაპანას მიმდებარედ დაგეგმილია თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის ცვლილების პროექტის განხორციელება, შემდეგ საკადასტრო კოდით მითითებულ ტერიტორიებზე: ს/კ: 27.04.45.059; 27.04.45.070; 27.04.45.060; 27.04.45.176, 27.04.45.169; 27.04.45.132; 27.04.45.126; 27.04.45.088.

საპროექტო ტერიტორიაზე წლების მანძილზე მოწყობილი იყო და ფუნქციონირებდა თევზსაშენი ტბორი. 2016 წელს მოცემულ ტერიტორიაზე გაიარა საერთაშორისო მნიშვნელობის (E60) სამტრედია-გრიგოლეთის საავტომობილო მაგისტრალმა, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია თევზსაშენი ტბორის ტერიტორიის ცვლილება ზემოაღნიშნული მაგისტრალის დაცვის ზონების გათვალისწინებით.

მოცემული საქმიანობა განეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს I დანართის 21-ე პუნქტით (კაშხლის ან/და სხვა ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია, რომელიც წყლის შესაკავებლად ან მუდმივად დასაგროვებლად გამოიყენება და რომლის მიერ შეკავებული ან დაგროვებული წყლის მოცულობა 50 000 m^3-ზე მეტია) გათვალისწინებულ საქმიანობას და შესაბამისად იგი ექვემდებარება გზშ-ს პროცედურას.

ზემოღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ შპს ,,ვოთერ მენეჯმენთ"-ის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჯაპანას მიმდებარედ თევზსაშენი ტბორის ექსპლუატაციის ცვლილების სკოპინგის ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ სკოპინგის დასკვნა.

დანართი:

1. სკოპინგის ანაგარიში - (1 ეგზემპლარი);
2. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების GIS კოორდინატები (shp-ფაილის სახით).

პატივისცემით,

შპს ,,ვოთერ მენეჯმენთ"-ის დირექტორი

შაქრო წილოსანი

№ 2405
"11" 02 2022
03